მაია ზიბზიბაძე
ბიოლოგიის ექსპერტი
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. მიზნობრივი პროფესიული განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებელთა კონკრეტული საჭიროებების გამოკვეთა, როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული მიმართულებით.
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა კვლევა რომლის მიზანს წარმოადგენდა: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერვისების დაგეგმვის ხელშეწყობა/მხარდაჭერა მათივე საჭიროებებზე (როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული) დაყრდნობით.
კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პედაგოგთა სხვადასხვა საჭიროება, რომლის გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერ კლასს ბიოლოგიაში.
მასწავლებლები გაეცნობიან ბიოლოგიის კვლევაზე დაფუძნებული სწავლების კონკრეტულ გზებს, მეთოდებს; გაეცნობიან კვლევითი სამუშაოების ნიმუშებს/მაგალითებს, დაგეგმავენ და შეაფასებენ პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ სამუშაოებს.
მასტერკლასს ექნება ინტერაქტიული სამუშაო ფორმატი, რათა უზრუნველყოს მონაწილეთა მაქსიმალური ჩართულობა შეხვედრაში, განსახილველი საკითხების სიღრმისეული გააზრება და პრაქტიკული გავარჯიშება.
ოთხსაათიანი მასტერკლასი ბიოლოგიაში განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურის ბიოლოგიის (წამყვანი, უფროსი და პრაქტიკოსი) მასწავლებლებისათვის.

მასტერკლასზე წარმოდგენილი იქნება თემატიკა:
კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ბიოლოგიაში.

მასტერკლასის შედეგად მონაწილეები შეძლებენ:

1. დაასაბუთონ კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელობა;
2. განასხვავონ კვლევის ძირითადი ეტაპები და განსაზღვრონ თითოეულ ეტაპზე შესასრულებელი აქტივობები;
3. დაგეგმონ კვლევითი აქტივობები;
4. შეაფასონ კვლევითი აქტივობები;
5. გამოცადონ კვლევაზე დაფუძნებული სწავლების სხვადასხვა სტრატეგიები სასწავლო პროცესში,